

"პანკისში ჰესების მშენებლობის საკითხზე მოსახლეობასთან არასაკმარისი კომუნიკაცია იყო"



პანკისის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დღეს სოფელ ბირკიანში სახალხო დამცვერი ნინო ღომჭარია ჩავიდა და ვითარებას ადგილზე გაეცნო.

სახალხო დამცვერი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. ნინო ღომჭარია ვარაუდობს, რომ მოსახლეობასთან ხეობაში ჰესების მშენებლობის საკითხზე არასაკმარისი კომუნიკაცია იყო.

„პირველი შთაბეჭდილება არის ის, რომ ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით არ იყო საკმარისი კომუნიკაცია მოსახლეობასთან. ისინი ვერ დაარწმუნეს, რომ ჰესის მშენებლობას არ ექნება მათ ცხოვრებაზე და ეკოსისტემაზე გავლენა. ვფიქრობ, როცა ასეთ გადამწყვეტილებას იღებენ, აუცილებელია, რომ მოსახლეობა იყოს საკმარისად ინფორმირებული. ვითარებაში, როცა პანკისის ხეობაში მსგავსი ტიპის ქმედებებს ვიცით, რომ შესაძლოა, სახიფათო გამწვავება მოჰყვეს, სანამ ხერისუფლება ასეთ ნაბიჯებს გადადგამს, გონივრული იქნებოდა, ყოფილიყო კომუნიკაცია“, – განაცხადა ნინო ღომჭარიამ.

მისი თქმით, ზოგადად, ხეობაში ბევრ საკითხზეა პროტესტი, მათ შორის მიმდინარე გამოძიებებზე.

„როდესაც ამის ფონზე ხორციელდება ძარისმიერი ქმედებები ხეობაში,

საზოგადოებას აქვს ორმაგი პროტესტი და განცდა, რომ ეს არის რევანში და სადამსჯელო ოპერაცია“, – აღნიშნა ნინო დომჯარიამ.

მისი შეფასებით, პრობლემის მოგვარება დიაროგის გზით არის შესაძლებელი.

„ვფიქრობ, დიაროგით შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება და არა, ძარისმიერი გზით. როგორც ვიცი, დაკავებულები ყველა გაათავისუფდეს. არ ვიცი, სამომავლოდ იქნება თუ არა დაკავებულების სერია, რა თქმა უნდა, მივადევნებთ თვარს ამ პროცესს“, – განაცხადა სახარხო დამცვერმა.